

## იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის მუშაობის შეფასება

როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია 2017 წლის 1 – ელ ივლისამდე ხელმძღვანელობდა „საქართველოს ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის #97 დადგენილებით, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციაში დაშვებული იყო 33 საშტატო ერთეული.

2017 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა რა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის #215 დადგენილება, საჯარო დაწესებულებებს დაევალოთ, 2017 წლის 1 –ელ ივლისამდე მოეხდინათ პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებების ცვლილება და მათი იერარქიულ რანგებში განაწილება. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ „საქართველოს ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის #97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 ივლისის #328 დადგენილების შესაბამისად მოახდინა საჯარო მოხელეთა იერარქიულ რანგებში გადანაწილება. დღეისათვის მოქმედი საშტატო ნუსხის შესაბამისად ადმინისტრაციაში დასაქმებულია 31 თანამშრომელი (საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 32 თანამშრომელი), შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 5 თანამშრომელთან. ყველა თანამშრომელს აქვს „სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის #308 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით დამუშავებული სამუშაო აღწერილობები. გუბერნატორის ადმინისტრაცია 2015 წლიდან ჩართულია ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში – eHRMS, სადაც უკვე ყველა ჩვენი თანამშრომელი დარეგისტრირებულია პირადი მონაცემებითა და თავიანთი სამუშაო აღწერილობებით.

ადმინისტრაციაში შექმნილია საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისია. საანგარიშო პერიოდში ორჯერ ჩატარდა საჯარო მოხელეთა კონკურსი. სულ კონკურსი

გამოცხადებული იყო 7 ვაკანსიაზე. ინფორმაცია შესაბამისად მიეწოდებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს.

ადმინისტრაციაში დებულების შესაბამისად ფუნქციონირებს სამხარეო საკონსულტაციო საბჭო. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სულ 8 სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა (ყველა ოქმის ასლი თავისდროულად გადაგზავნილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში).

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ასევე რეგულარულად ტარდებოდა რეგიონის მუნიციპალიტეტის გამგებლებთან სამუშაო შეხვედრები, დღეის მდგომარეობით სულ ჩატარებულია 9 სამუშაო შეხვედრა.

როგორც მოგეხსენებათ გუბერნატორის ადმინისტრაციაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოება 2014 წლიდან.

2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე სულ ელექტრონულ საქმისწარმოებაში დარეგისტრირებულია 3878 შემოსული წერილი და 2522 გასული წერილი.

შემოსული წერილებიდან თითქმის 90% მუნიციპალიტეტებში იგზავნებოდა, როგორც ინფორმაციისათვის, ისე პასუხების გასაცემად. აქედან გამომდინარე აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ზემდგომი წერილების საპასუხოდ სულ მომზადდა და გაიგზავნა 900 წერილი, გარდა ამისა ხელმძღვანელობისაგან მიღებული დავალებებით მომზადდა და გაიგზავნა 70 – მდე წერილი.

დღეისათვის ელექტრონულ კანცელარიაში სულ დარეგისტრირებულია 295 განკარგულება, მათ შორის 250 საკადრო ხასიათისაა (ცვლილებებს ითვალისწინებს).

## ინფრასტრუქტურა

იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ყველაზე დიდი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით იხარჯება. ჩვენი მიზანია რომ ყველა ქალაქს, დაბასა და სოფელს ჰქონდეს კარგი გზა, მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცენტრი, საბავშვო ბაღი, სკოლა, კულტურული თუ სპორტული დაწესებულება. სწორედ ამიტომ აღნიშნული მიმართულებით ძალიან დიდი რესურსი იხარჯება.

2017 წელს იმერეთის რეგიონში, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 123.855.228 ლარი დაიხარჯა. ამ თანხის დიდი ნაწილი სწორედ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე იხარჯება, რადგან კარგი გზა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ნებისმიერი

დასახლებული პუნქტისთვის. აღნიშნული მიმართულებით წელს **45 393 555** ლარი დაიხარჯა. ამ თანხით 2017 წელს დაიგო და რეაბილიტირდა **207,45 კმ** გზა.

თავის მხრივ ძალიან მასშტაბურ და მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს საგზაო დეპარტამენტი.

1. ჭიათურა-პერევისა-სვერი-თვალუეთი-გეზრულის საავტომობილო გზის 7 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 4 573 700 ლარია. პროექტის ფარგლებში 70 ადამიანია დასაქმებული. სამუშაოები 2017 წლის აგვისტოში დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

2. ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის 15,2 კმ-იანი მონაკვეთი ჩქაროსნული ავტომაგისტრალი გაიხსნა. მშენებლობის პროექტის ფარგლებში, 15,2 კმ-იანი მონაკვეთზე, აშენდა ცემენტო-ბეტონის საფარიანი ოთხ ზოლიანი ჩქაროსნული გზა, 9 პარალელური ხიდი, ორი სატრანსპორტო კვანძი, ოთხი საფეხმავლო ხიდი, მიწისქვეშა გადასასვლელები და რკინა ბეტონის წყალგამტარი ხიდები.

ზესტაფონი ქუთაისის მონაკვეთის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ექსპლოატაციაში სრულად შევიდა ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის 56,5 კმ-იანი გზა.

აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობა, E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალზე გაზრდის ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას, შეამცირებს გადაზიდვების ხარჯებს და ხელს შეუწყობს სატრანზიტო მიმოსვლის ზრდას.

სამუშაოების ღირებულება 71 მლნ ლარს და 22 მლნ ევროს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოები იაპონიის საერთაშორისო თანამშროლობის სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა. პროექტზე 360 ადამიანი იყო დასაქმებული.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, 22 მაისიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრავი ავტოტრანსპორტი (ქუთაისი სამტრედიის მიმართულებით) მოძრაობს ძველი თბილის-სენაკი -ლესელიძის საავტომობილო გზის გამოყენებით. ქალაქ ქუთაისის გავლით.

აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობა ხორციელდება ცალმხრივად (სამტრედია ქუთაისის მიმართულებაზე).

აღნიშნულ მიმართულებაზე დაფიქსირდა მრავალი დარღვევა და დაწესებული რეჟიმის დაუმორჩილებლობა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამჟამად საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ქუთაისის შემოსავლელი-სამტრედიის მონაკვეთზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების განხორციელება მიმდინარეობს, რომელიც მოიცავს:

- გარე განათების ქსელის მოწყობას

- ხმაურიანი ზოლების და დამატებითი საგზაო ნიშნების მოწყობას
- ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მოწყობას

სამუშაოების დასრულებისთანავე ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის მონაკვეთზე მოძრაობა აღდგება ორმხრივად და მძღოლები შეძლებენ იმოდროს განათებული, კიდევ უფრო უსაფრთხო და გარამართული ინფრასტრუქტურით. ამ დროისთვის საავტომობილო მიმოსვლა შსს საპატრულო პოლიციის უმაღლო ზედამხედველობით და კოორდინაციით მიმდინარეობს.

3. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი ჭომა-ალპანა-მამისონის უღელტეხილის საავტომობილო გზის 8 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო მონაკვეთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებზე: ოფურჩხეთსა და ნამოხვანზე გადის.

აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაცია 25 წელზე მეტია არ მომხდარა, რის შედეგადაც ასფალტო-ბეტონის საფარი ძლიერ დაზიანებულია, დაორმოებული და ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი.

პროექტი სახელწმიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 4 539 131 ლარია. სამუშაოებზე 80 ადამიანი დასაქმებული. პროექტი 2016 წლის ოქტომბერში დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, ჩვენ უკვე მესამე წელია ეს მიმართულება პრიორიტეტად გვაქვს გამოცხადებული და მიხარია, რომ აღნიშნულ სფეროში მართლაც ძალიან ბევრი გაკეთდა. წელს საბავშვო ბაღების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე **3.461.313 ლარი** დაიხარჯა. აშენდა 3 ახალი საბავშვო ბაღი (ვანის მუნიციპალიტეტში 2- ს.შუამთა და ს.უხუთი, ერთი – ქ. ტყიბულში გორგიძის ქუჩაზე) და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 34 საბავშვო ბაღს. ახალი კორპუსების მიშენება განხორციელდება 4 საბავშვო ბაღზე.

კულტურული ობიექტების მშენებლობა – რეაბილიტაციაზე **216 767 ლარი** დაიხარჯა. მათ შორის აღსანიშნავია, ვანში კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია და ხონში სამხატვრო სკოლის რეაბილიტაცია. წელს ასევე, გავხსენით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამხატვრო-სამუსიკო სკოლა საჩხერეში, რომელიც გარდამავალი პროექტი იყო, მისი მშენებლობა 2016 წელს დაიწყო და ღირებულება დაახლოებით მილიონ ლარს შეადგენს.

2017 წელს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობასა და რეაბილიტაციაზე **2 055 627 ლარი** დაიხარჯა. იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში აშენდა და მოეწყო 35 სპორტული მოედანი და მინი სტადიონი, ხოლო 55 სპორტულ მოედანს ნაწილობრივი ან სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. რეგიონში აშენდა საჭიდაო და ძალოსნობის დარბაზები და ასევე, სრულად რეაბილიტირდა ტყიბულის საცურაო აუზი.

რეგიონში ძალიან დიდი სამუშაოები ტარდება მოსახლეობის წყლით, ბუნებრივი აირითა და ელექტროენერჯით უზრუნველსაყოფად.

წყალმომარაგების სისტემისა და ქსელის მოწყობაზე მიმდინარე წელს **1 515 841 ლარი** დაიხარჯა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ქვეყნის მასშტაბით წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის აქტიური სამუშაოებს ახორციელებს. სასმელი წყლის პრობლემის მოსაგვარებლად, სადაც წლებია წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია არ მომხდარა, ათეულობით მილიონი ლარია გამოყოფილი.

პროექტს ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს და მისი ღირებულება 10 მილიონ ლაზე მეტია. სამუშაოები 2019 წლის მარტში დასრულდება, რის შედეგადაც საჩხერის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი 24 სთ-იან წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

მელიორაციის მიმართულებით იმერთის რეგიონში 2017 წელს შემდეგი სამუშაოები განხორციელდა:

#### **ზესტაფონის მუნიციპალიტეტი**

აჯამეთის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

მიღებული შედეგი: წყალუზრუნველყოფილი ფართობი 3049 ჰექტარი.

#### **ხონის მუნიციპალიტეტი**

ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

მიღებული შედეგი: წყლის მიწოდების გაუმჯობესება 14 300 ჰექტარი.

#### **ბაღდათის მუნიციპალიტეტი**

ვარციხის და ტობანიერის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხების I და სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია

მიღებული შედეგი: წყალუზრუნველყოფილი ფართობი 810 ჰექტარი.

#### **ვანის მუნიციპალიტეტი**

ციხე-სულორის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია

მიღებული შედეგი: დამშრალი ფართობი 515 ჰექტარი.

2017 წელს იმერეთის რეგიონში 34 სოფლის გაზიფიცირება განხორციელდა. ექსპლუატაციაში მიიღეს 671 კმ-ი გაზ/გამანაწილებელი ქსელი. პოტენციურ აბონენტთა რაოდენობა 13 197 – ს შეადგენს. 2016 წელს იმერეთის რეგიონში ბუნებრივი აირი მიეწოდებოდა 136 874 მომხმარებელს, ხოლო 2017 წლის 11 თვეში ამ მაჩვენებელმა 150 900 ერთეულს მიაღწია.

აღსანიშნავია, რამდენიმე მუნიციპალიტეტი, რომლებშიც გაზიფიცირების მასშტაბური პროექტები განხორციელდა:

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის 8 სოფელში ( ჯგილათი, ბროლისქედი, თავასა, კაკაბოური, მუჯირეთი, ნაგარევი, ნავენახევი, ჭალასთავი.) განხორციელდა გაზიფიცირების სამუშაოები. ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა **56,4** კმ სიგრძის გაზგამანაწილებელი ქსელი, რომელიც მოიცავს **693** პოტენციურ აბონენტს. ამჟამად აბონირებულია **273** მომხმარებელი.
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 7 სოფელში (დილიკაური, ქვედა საქარა, ზედა კვალთი, შორაპანი, ზედა საქარა, არგვეთა, ფუთი) განხორციელდა გაზიფიცირების სამუშაოები. ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა **112,8** კმ იანი გაზსადენი, რომელიც მოიცავს **4286** პოტენციურ აბონენტს. ამჟამად აბონირებულია **3429** აბონენტი.
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის 8 სოფელში ( ქ. ჭიათურა და სოფლები: ჭილოვანი, ნავარძეთი, რგანი, ზედა რგანი, ბუნკაური, მღვიმე და დარკვეთი, ითხვისი) განხორციელდა გაზიფიცირების სამუშაოები. ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა **135** კმ სიგრძის გაზსადენი, რომელიც მოიცავს **1955** პოტენციურ აბონენტს. აბონირებულია **712** მომხმარებელი.
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის 6 სოფელში (შუბანი, ნერგეთი, წაბლახევი, პირველი ოზჩა , მეორე ოზჩა, როხი ) განხორციელდა გაზიფიცირების სამუშაოები. აშენდა **61,9** კმ სიგრძის გაზსადენი, რომელიც მოიცავს **2509** პოტენციურ აბონენტს. ამჟამად აბონირებულია **637** აბონენტი.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 7 სოფელში (გუმბრა, ქვილიშორი, ჯიმასტარო, პირველი წყალტუბო, გუბისწყალი, ჩუნეში, მალლაკი) განხორციელდა გაზიფიცირების სამუშაოები. აშენდა **193,6** კმ სიგრძის გაზსადენი, რომელიც მოიცავს **3090** პოტენციურ აბონენტს. ამჟამად აბონირებულია **1141** აბონენტი.
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2 სოფელში , საწირესა და კურსებში განხორციელდა გაზიფიცირების სამუშაოები. აშენდა **72,4** კმ სიგრძის

მილსადენი, რომელიც მოიცავს **985** პოტენციურ აბონენტს. მიმდინარე წელს სოფელ მუხურაში აბონირებულია **400** აბონენტი, ხოლო ქალაქ ტყიბულში **2972** აბონენტი.

- ვანის მუნიციპალიტეტის 3 სოფელში (ძულუხი, სულორი, ციხისუბანში) განხორციელდა გაზიფიცირების სამუშაოები. აშენდა **35,6** კმ სიგრძის მილსადენი, რომელიც მოიცავს **639** პოტენციურ აბონენტს. ამჟამად აბონირებულია **653** აბონენტი.
- ქალაქ სამტრედიაში, აღმაშენებლის ქუჩაზე აშენდა **401** მეტრი სიგრძის ახალი გაზსადენი. ამჟამად აბონირებულია **222** აბონენტი.
- ქალაქ ქუთაისში განხორციელდა **1 483** მომხმარებლის აბონირება.

რაც შეეხება ელექტროფიცირებას, 2017 წელს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციულ ზონაში შემავალი 12 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სრულად დასრულდა მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. 2017 წელს გამრიცხველიანების პროექტები განხორციელდა რეგიონის 78 სოფელში, რომელთა ფარგლებში დამონტაჟდა 10 110 მრიცხველი, 8300 საყრდენი და 557 271 მეტრი დახურული ტიპის კაბელი. აღნიშნულ პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ან ამჟამად მიმდინარეობს რეგიონში არსებულ 164 ფიდერზე. აღნიშნული სამუშაოების დროს 10/6/0,4 კვ. ქსელში შეიცვალა და დამონტაჟდა 3 039 ახალი საყრდენი და 112 370 მეტრი სადენი. 2017 წლის გასული პერიოდის განმავლობაში იმერეთის რეგიონში განხორციელდა ქსელთან ახალი აბონენტების მიერთების 1 461 პროექტი და შესრულდა მათთან დაკავშირებული ტექნიკური სამუშაოები.

### იძულებით გადაადგილებული პირები

საქართველოს მთავრობა აგრძელებს იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებაზე ზრუნვას. აღნიშნული მიმართულებით იმერეთის რეგიონში 2017 წელს მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა, ეს პროცესი შეუქცევადია და გრძელდება.

2017 წელს, ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩაზე კიდევ 6 ახალი კორპუსის მშენებლობა დაიწყო 480 დევნილი ოჯახისთვის.

წყალტუბოში, 140 დევნილი ოჯახისთვის 2 ათსართულიანი კორპუსი შენდება.

2017 წელს, „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, იმერეთის რეგიონში სამინისტრომ სახლი შეუსყიდა 60 დევნილ ოჯახს, მათ შორის 19-ს ქუთაისში.

## სოციალური თემატიკა

სოციალური მიმართულება ისევ რჩება ხელისფულების და შესაბამისად, რეგიონის პრიორიტეტად. ჩვენ ვცდილობთ რომ ყოველწლიურად გავაუმჯობესოთ შეჭირვებული ადამიანების მდგომარეობა. აღნიშნული მიმართულებით იმერეთის მუნიციპალიტეტებში არაერთი პროგრამა მოქმედებს.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში იმერეთის მაშტაბით 58 577 ოჯახია (164 831 პირი) რეგისტრირებული, აქედან საარსებო შემწეობის მიმღებია 19 349 ოჯახი (67 843 პირი), რეგისტრირებული ოჯახების 33 % საარსებო შემწეობის მიმღებია.

სოციალური პაკეტის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა 29, 269 – ია.

ჩვენ ასევე, მუდმივ რეჟიმში ვაგრძელებთ მოსახლეობის დასასაქმებლად მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმას. 2017 წელს პროფესიული მომზადება - გადამზადება 325 - ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა გაიარა, მათგან გადამზადების შემდეგ 40 ადამიანი დასაქმდა.

სტაჟირება გაიარა 20 - მა სამუშაოს მაძიებელმა, 3 მათგანი უკვე დასაქმებულია.

იმერეთის მხარის ყველა მუნიციპალიტეტის მერიას შემუშავებული აქვს სოციალური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოქალაქეების დახმარებას.

ზემოაღნიშნული სოციალური პროგრამებია:

– სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახების სამედიცინო გამოკვლევის, მკურნალობის, საოპერაციო და სამკურნალო მედიკამენტებისათვის საჭირო თანხით უზრუნველყოფა;

– ონკოდაავადებულთა, ლეიკემიით, ცერებლალური დამბლით, დაუნის სინდრომით და დიაბეტით (18 წლამდე) დაავადებულთა ფინანსური დახმარება;

– ეპილევსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამა;

– დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და ტერიტორიული მთლიანობის მეზობლთა ოჯახებისათვის სარიტუალო მომსახურეობის თანხით დახმარება, ოჯახში ომის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეზობლთა ოჯახების დახმარება;

– მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;



- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შშმპ) 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერად ფულადი დახმარების პროგრამა;
- ახალშობილთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა;
- ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახების დახმარება;
- მარჩენალდაკარგული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა;
- უფასო სასადილო – ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის;
- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოქალაქეთა დახმარება;
- ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება;
- დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;

დახმარებას, "მესამე და შემდეგი" ბავშვის გამო იღებს 2 705 ოჯახი.

### **სოფლის მეურნეობა**

სოფლის მეურნეობის მიმართულება ჩვენი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვნად განვითარდა, გაიზარდა დაფინანსება და ბევრი ისეთი ახალი პროგრამა ამოქმედდა, რომელიც აღნიშნული მიმართულებით ბევრ შეღავათს ითვალისწინებს.

2017 წლისათვის იმერეთის რეგიონში სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიები შეადგენს: 203 533, 5 ჰა. მათ შორის: 115 306,2 ჰა კერძო საკუთრებაშია, 88 227,3 ჰა სახელმწიფო საკუთრებაში. სახნავი მიწის ფართობი (მასიური ფართობები) 67 074, 7 ჰა; მრავალწლიანი ნარგაობა 19 998,6 ჰა; სათიბი 1466 ჰა; საძოვარი 86 398,3 ჰა.

2017 წელს ნათესმა ფართობებმა (მათ შორის საკარმიდამო ნაკვეთებზე) შეადგინა 43 281,6 ჰა; ძირითადი მონოკულტურა იყო სიმინდი, რომლის ნათესმა ფართობმა შეადგინა 36 334,5 ჰა. მიღებულმა მოსავალმა 56 888,2 ტ. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების (საზამთრო, ნესვი, კიტრი, პომიდორი, სტაფილო, ჭარხალი) ნათესმა ფართობებმა შეადგინა 712, 3 ჰა. მიღებულმა მოსავალმა 14 865 ტ. კარტოფილი, ხახვი, ბადრიჯანი, წიწაკა, ნიორი, მწვანელი 687,2 ჰა, მოსავლიანობამ 5 309,9 ტ. სულ ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობებმა შეადგინა 7 046,7 ჰა.

2017 წლისათვის რეგიონში რიცხული ვენახის საერთო მოცულობა 8 750 ჰა. – ს შეადგენს, ხოლო მოსავლიანობა – 30 924,4 ტ.

2017 წლისათვის რეგიონში რიცხული კაკლოვანი კულტურების საერთო მოცულობა 9 609 ჰექტარია, მოსავლიანობა – 4 328 ტ.

2017 წლისათვის რეგიონში რიცხული კენკროვანი კულტურების საერთო მოცულობა 304 ჰა. – ს შეადგენს, ხოლო მოსავლიანობა 661,4 ტ.

### კოოპერატივები

2017 წლისათვის იმერეთის რეგიონში 124 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (ბაღდათი 12; ვანი 24; ზესტაფონი 5; თერჯოლა 7; სამტრედია 15; საჩხერე 9; ტყიბული 9; წყალტუბო 14; ჭიათურა 14; ხარაგაული 3; ხონი 12;) შეიქმნა.

2017 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 4 კოოპერატივს.

2017 წელს ზესტაფონში ორი ახალი კოოპერაციული საწარმო გაიხსნა: რძის გადამამუშავებელი კოოპერატივი/საწარმო „ზესტაფონური“, ს. როდინაული; თხილის გადამამუშავებელი კოოპერატივი/საწარმო „ტირიხულა“, ქვ.საქარა.

### „დანერგე მომავალი“

რეგიონში აღნიშნული პროგრამით 2017 წელს 48 ბენეფიციარი დაფინანსდა, გაშენდა 198,3 ჰა ბაღი (კაკალი, თხილი მაყვალი, ლურჯი მოცვი და სხვ.), თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 734 254 ლ.

**ვანი (შუამთა, ზეინდარი, ციხესულორი)** - 6 ბენეფიციარი, გაშენდა 16,3 ჰა ბაღი (ტყემალი 3 ჰა; თხილი 7 ჰა; კაკალი 1 ჰა; ჟოლო 5,3 ჰა).

**ზესტაფონი (მეორე სვირი, როდინაული, ქვედა საქარა)** -6 ბენეფიციარი, გაშენდა 23 ჰა კაკლის ბაღი.

2017 წლის 23 ნოემბრის მდგომარეობით პროგრამის ფარგლებში პროექტების მართვის სააგენტოში დამატებით წარდგენილია 2 განაცხადი (ზესტაფონი) 6 ჰა ჟოლოს და 2 ჰა კაკლის ბაღის გასაშენებლად.

**თერჯოლა (ქვედა სიმონეთი)**– 1 ბენეფიციარი, გაშენდა 16 ჰა. თხილი

სამტრედია (გომი, მელაური, საჯავახო) – 8 ბენეფიციარი, გაშენდა 9 ჰა ბაღი (3 ჰა ტყემალი; ხურმა 1 ჰა; თხილი 5ჰა).

საჩხერე (მერჯევი, კორბოული)- 2 ბენეფიციარი, გაშენდა 13 ჰა კაკალი.

წყალტუბო (ფარცხანაყანები, გუბისწყალი, გეგუთი, მუხიანი, ზედა მესხეთი, ტყაჩირი, საყულია, ქვიტირი, მალლაკი, ქვილიშორი, გვიშტიბი) -15 ბენეფიციარი, გაშენდა 13 ჰა კაკალი; ლურჯი მოცვი 8 ჰა; მაცვალი 4 ჰა; თხილი 7 ჰა; კაკალი 81ჰა);

ჭიათურა (ქვაციხე) - 1 ბენეფიციარი, გაშენდა 5 ჰა კაკალი.

ხონი (ივანდიდი)- 1 ბენეფიციარი, გაშენდა 3 ჰა კაკალი.

2017 წელს „დანერგე მომავლის“ ფარგლებში 10 ბენეფიციარის მიერ გაკეთდა 11 განაცხადი, პროექტის სრული ინვესტიცია 11 574 369 ლარს შეადგენს. სააგენტოს თანადაფინანსება 6 355 720 ლარია, გაშენდა 43 ჰა ბაღი.

### აგროკრედიტი

2017 წელს იმერეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის აგროკრედიტის ფარგლებში 94 სესხი გაიცა 89 ბენეფიციარზე - სესხის მოცულობა 4 694 420 ლარია; ხოლო 31 ბენეფიციარზე გაცემული 32 სესხის მოცულობას 3 836 085 USD. შეადგენს

### აწარმოე საქართველოში

2017 წელს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, (გადამამუშავებელ საწარმოთა თანადაფინანსება) რეგიონში დაფინანსდა და მოქმედება დაიწყო სამმა ახალმა საწარმომ. საწარმოთა თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 689 468 USD, ხოლო ჯამური ინვესტიცია 1 759 058 USD. – ია.

1. შპს „აგროლეინი“ , ბაღდათი, კენკროვნების გადამამუშავება -პროექტის ღირებულება შეადგენს 455 000 ლ. გრატის მოცულობა 182 000 ლ.

2. შპს „ზეკარი“ , თერჯოლა, რძის გადამამუშავება- პროექტის ღირებულება შეადგენს 500 000 ლ. გრატის მოცულობა 200 000 ლ.

**3. შპს „ქართული დაფნა“, ვანი დაფნის გადამამუშავება - პროექტის ღირებულება შეადგენს 597 482 ლ. გრატის მოცულობა 238 000 ლ.**

2017 წლის მდგომარეობით რეგიონში აგროკრედიტებით შექმნილია და გადაიარაღებული 17 საწარმო (პირველადი საწარმოები, ინფრასტრუქტურული, გადამამუშავებელი, სამცივრე, მეფრინველეობის და სხვ.).

2017 წლისათვის შეღავათიანი აგროკრედიტის მე-3 კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებულია ქუთაისში 5 ახალი საწარმო:

სასათბურე მეურნეობა – 2, რძის გადამამუშავება – 2, მეფრინველეობა – 1.

2017 წელს რეგიონიდან ექსპორტზე გასატანი პროდუქცია იყო მწვანილი, ლურჯი მოცვი, თხილი. ისრაელში გატანილი იქნა გადამამუშავებული ცხარე წიწაკა (აჯიკა).

მწვანილი ექსპორტირებული იქნა უკრაინაში, მოლდოვაში, პოლონეთში, ბელარუსსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

**აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამაში IFAD 2017 წელს ჩაერთო 2 ბენეფიციარი. გრანტის მოცულობა 71 730 ლარია, ჯამური ინვესტიცია – 179 325 ლ.**

#### **ჩაის კულტურის რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამა**

2017 წლისათვის ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულია 8 ბენეფიციარი, კოოპერატივი, 4 შპს, 3 სს; სულ 338 ჰა. (ჭიათურა 3, ხონი 3, ტყიბული 2, ვანი 1). ფართობი 152 ჰა. საკუთრებაში არსებული 53,5 ჰა. სახ. იჯარა 98,5 ჰა. რეაბილიტაციის ღირებულება 618 084 ლ. თანადაფინანსება 450 592 ლარი. დასრულებულია რეაბილიტაცია 49,3 ჰა-ზე; დაწყებულია 27,9 ჰა. რეაბილიტაცია.

#### **აგროდაზღვევა**

იმერეთის რეგიონში 2017 წელს აგროდაზღვევის კუთხით გაცემულია 1 441 პოლისი, სადაზღვევო ლიმიტი შეადგენს 1827 231,5 ლარს, სადაზღვევო პრემია 136 249,2 ლარს, დამზღვევის პრემია 50 411 ლარს, სააგენტოს წილი 85 837 ლარს.

#### **თვითდაფინანსება**

2017 წელს ქ.ზესტაფონში გაიხსნა თხილის გადამამუშავებელი საწარმო.

**აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები**

რეგიონში ახალი ინვაზიური მავნებლის აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ფარგლებში ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მოხდა ფაროსანას წინააღმდეგ პორფილაქტიკური და ქიმიური ბრძოლის ღონისძიებების გატარება.

იმერეთის რეგიონში ფაროსანას გავრცელების და შესაწამლი ფართობების დადგენის მიზნით საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების და სურსათის უვნებლობის სამსახურის თანამშრომელთა ერთობლივი მუშაობით მოხდა სპეციალური ფერომონიანი საკიდის და დამჭერის განთავსება. (42 838 ფერომონიანი საჭერი) სამტრედიის და ხონის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამით შეიწამლა სიმინდის მასიური და თხილის ფართობები. სამტრედიის, ვანის, ხონის, წყალტუბოს (ნაწილობრივ) მოსახლეობას დარიგდა ბიფეტრინის ჯგუფის ინსექტიციდი ზონდერი. ამ ეტაპზე გამოყოფილი 59 147 ლიტრიდან 55 015 ლიტრი პესტიციდია გაცემული მოსახლეობაში, რომელიც სრულად გაიცემა მ/წლის ბოლომდე. მოსახლეობას ჰექტარ-ნახევარს სახელმწიფო საკუთარი სახსრებით შეუწამლავს; 5 ჰექტარამდე ფართობის მფლობელებს კი, პრეპარატი გადაეცემა. შეწამვლითი სამუშაოები 2018 წლის მაის - ივნისში დაიწყება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური სამმართველოს, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები სისტემატურ რეჟიმში მუშაობენ მოსახლეობასთან და აცნობენ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებულობის მიზნით ხდება ბროშურების გავრცელება.

### **საგარეო ურთიერთობები**

მიმდინარე წელი იმერეთისთვის მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. რეგიონი გახდა ორი მნიშვნელოვანი ევროპული ორგანიზაციის: ევროპის რეგიონთა ასამბლეისა და ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის წევრი. აღსანიშნავია, რომ ასოციაციის წევრი საქართველოდან მხოლოდ იმერეთია.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ვაშის (უნგრეთი) და ზღინის (ჩეხეთი) რეგიონებთან. დღეისათვის იმერეთი 5 რეგიონთან არის დამეგობრებული, რაც მრავალმხრივ შესაძლებლობებს ქმნის არამარტო ხელისუფლების ორგანოებს, არამედ საზოგადოებებს შორის ურთიერთობების ინიცირების, ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელების, ევროპული ფონდების მოძიებისა და პროექტების დაფინანსების საკითხებში. მიმდინარე წელს იმერეთში განხორციელდა საქართველოში პოლონეთის, ჩეხეთის, შვედეთის, საფრანგეთის, ესტონეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და ისრაელის ელჩების ოფიციალური ვიზიტები. შეხვედრების დროს განხილულ იქნა რეგიონის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები აღნიშნული

ქვეყნების რეგიონებთან, ასევე საინვესტიციო პოტენციალი და შესაძლო ბიზნეს პროექტები.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ასევე, აქტიურად ეხმარება მუნიციპალიტეტებს საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების საკითხში. 2016-2017 წლებში იმერეთის 8 მუნიციპალიტეტმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები ლატვიის, პოლონეთისა და ბელორუსის მუნიციპალიტეტებთან. აქტიურად იყო წარმოდგენილი რეგიონი და მუნიციპალიტეტები საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერლინის, ვარშავის, კიევისა და ალმა-ატის ფორუმები.

მომავალი წლისთვის დაგეგმილია როგორც სამხარეო ადმინისტრაციის, ასევე მუნიციპალიტეტების საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოება, აქტიური თანამშრომლობა საელჩოებთან და მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, რაც ხელს შეწყობს რეგიონის ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო ასპარეზზე.

## ტურიზმი

2017 წელი იმერეთის რეგიონში მნიშვნელოვანი იყო ტურიზმის განვითარების მიმართულებით. 2016 წლის 12 თვეში საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა შემოსვლის მაჩვენებელმა 6 300 000 კაცს გადააჭარბა, შესაბამისად, მატებაა იმერეთშიც. რეგიონის ისტორიული და ბუნებრივი ძეგლები 450 000 – მა კაცმა დაათვალიერა. 2017 წელს გასულ წელთან შედარებით ტურისტთა მატებმა 36 პროცენტი შეადგინა. საერთაშორისო ტურისტთა ხვედრითმა წილმა ტურისტთა საერთო რაოდენობაში 38 პროცენტი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 19 პროცენტით აღემატება.

2017 წლის 10 თვეში მარტო პრომეთეს მღვიმე 160 000– მა, ხოლო სათაფლიის ნაკრძალი 83 000 – მა მეტმა ვიზიტორმა დაათვალიერა, ოკაცეს კანონზე ტურისტთა რაოდენობამ 72 199 – ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებელი საერთაშორისო ბაზარზე ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გააქტიურებამ განაპირობა. იმერეთმა 2016 – 2017 წლებში 15 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, ალმაატასა და ხარკოვში, კიევში, ვარშავაში, პოზნანში, ლონდონში, ბერლინსა და ტოკიოში. იმერეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა განთავსების ობიექტების რაოდენობა, საწოლთა საერთო რაოდენობამ 4 500 – ს გადააჭარბა.

2017 წელს ტურისტული ნაკადის მკვეთრი ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა ინფრასტრუქტურის განახლებამ და ახალი ობიექტების მშენებლობამ. ქუთაისში 4 დიდი სასატუმრო, ხოლო ათობით შედარებით მცირე სასატუმრო სახლი და ჰოსტელი ამოქმედდა. საერთო ჯამში საწოლების რაოდენობამ 4 500 შეადგინა, დიდი ყურადღება დაეთმო შიგა სასოფლო გზების მოწესრიგების საქმეს ბაღდათის, ტყიბულის, ვანისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში. ნავენახევისა და საწურბლიის მღვიმეებში, კინჩხას ჩანჩქერზე დაიწყო დამხმარე ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისა და მშენებლობის სამუშაოები, ქუთაისსა და ჭიათურაში გაიხსნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები, ფართო სამუშაოები გაიშალა იმერეთში აგროტურისტული ცენტრების შექმნისათვის. მათმა რიცხვმა ბაღდათის, თერჯოლის, ტყიბულისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში 25 ერთეულს გადააჭარბა. მსოფლიო ბანკი აფინანსებს კაცხის სვეტის, კაცხის მონასტრის დამხმარე ინფრასტრუქტურის, მისასვლელი გზების მოწესრიგების საქმე. დაიწყო ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოების სამუშაოები.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის, მისი ორიგინალური ტექნოლოგიის გაცნობისა და ფერმერულ მეურნეობებში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის, საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის მთავარ რეგიონებში გზებზე სპეციალური ნიშნულები დამონტაჟდა. იმერეთში 24 ასეთი ნიშნულია დამონტაჟებული თერჯოლის, ბაღდათის, ზესტაფონისა და ვანის მუნიციპალიტეტებში. ფერმერები ვიზიტორებს აცნობენ იმერული ღვინის ტექნოლოგიის თავისებურებებს და იმერული ღვინის დაგემოვნება ხდება, საამისოდ ფერმერულ მეურნეობებში სპეციალურად მოეწყო ღვინის ეთნოგრაფიული მარნები, სადაც სტუმრებს სთავაზობენ, როგორც მინის ჭურჭელში დაყენებულ ღვინის რამდენიმე სახეობას, ასევე ქვევრის ღვინოს, აცნობენ ღვინის ქვევრში დაყენების ტექნოლოგიას, რომელიც ერთ–ერთია მსოფლიოში ცნობილი ღვინის შენახვის ოთხი კლასიკური ტექნოლოგიიდან და რა თქმა უნდა, ბოთლში ჩამოსხმულ მზა პროდუქციას, რომელიც იყიდება იაპონიაში, ავსტრალიაში, ლონდონსა და ვარშავაში. მათი გაყიდვების არეალი ყოველწლიურად იზრდება.



This document was created with the Win2PDF "print to PDF" printer available at <http://www.win2pdf.com>

This version of Win2PDF 10 is for evaluation and non-commercial use only.

This page will not be added after purchasing Win2PDF.

<http://www.win2pdf.com/purchase/>